

ნინო დათეშიძე

პოლისემია და ომონიმია თარგმნით ტერმინოლოგიურ ლექსიკონებში

თანამედროვე სამყარო მაღალი ტექნოლოგიების სწრაფი განვითარებითა და სამეცნიერო პროგრესით გამოირჩევა. სწორედ ამიტომ ტერმინოლოგიურ ლექსიკონებს განსაკუთრებული ფუნქცია აკისრია – აღნუსხოს და თავი მოუყაროს მეცნიერული ცოდნის თითქმის ყველა ცნებას. ამგვარი ტიპის ლექსიკონები დარგის სპეციალისტთა საურთიერთო საშუალებაა და მათი შექმნა - შემუშავების პრინციპების დადგენა მეტად მნიშვნელოვანია.

თარგმნითი ტერმინოლოგიური ლექსიკონები ლექსიკოგრაფიის ერთ-ერთი ძირითადი სფეროა, რომელიც მრავალ პრაქტიკულ თუ თეორიულ საკითხს აერთიანებს. ისინი მასალობრივადაც სპეციფიკურია და შედგენის პრინციპებითაც საგრძნობლად განსხვავდება სხვა ტიპის ლექსიკონებისაგან. ტერმინოლოგიური ლექსიკონები გარკვეული დარგის ცნებათა სისტემის ამსახველ ტერმინებს მოიცავს. ეს მასალა ნორმირებული და სავალდებულო უნდა იყოს დარგის სპეციალისტებისათვის. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდება როგორც სტრუქტურით, ასევე მასალის მიწოდების თვალსაზრისით.

შედგენილობის მხრივ ტერმინოლოგიური ლექსიკონები კრებსითი ან ვიწროდარგობრივია. კრებსით ლექსიკონებში თავმოყრილია რამდენიმე მომიჯნავე დარგის ლექსიკა. ასეთია, მაგალითად, **ტექნიკური ტერმინოლოგიები**, 1920, 1957 და 1977 წლებისა; მათ სხვაგვარად პოლიტექნიკურ, ანუ მრავალდარგოვან ტექნიკურ ლექსიკონებსაც უწოდებენ. კრებსითია ასევე **სოფლის მეურნეობის ტერმინოლოგია**, რომელიც აერთიანებს სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა ძირითად დარგს და მოიცავს 25 000-ამდე ტერმინს. ვიწროდარგობრივი ლექსიკონები ცალკეული დარგის ცნებათა ამსახველ ტერმინებს მოიცავს.

ტერმინოლოგიური ლექსიკონები მასალის განთავსების პრინციპებითაც სპეციფიკურია. ასეთ ლექსიკონებში ტერმინები სპეცია-

ლურად დარგობრივი ლექსიკონებისათვის შემუშავებული საერთო წესის მიხედვითაა განლაგებული: ძირითადად დარგობრივი ლექსიკონები ბუდობრივი სისტემითაა გაწყობილი – სალექსიკონო ერთეულად გამოტანილია ძირითადი ტერმინი (ჩვეულებრივ, არსებითი ან მოქმედების აღმნიშვნელი სახელი), რომელთანაც თავს იყრის ორ- და მეტსიტყვიანი ტერმინოლოგიური შესიტყვებები. ადრეული წლების ლექსიკონებში ამოსავალი ენის ორ- და მეტსიტყვიან შესიტყვებათა წყობა ინვერსიულია (მაგ., **დაბრკოლებასთან – დაბრკოლება** ატმოსფერული; **დაბრკოლება** ელექტრული; **დაბრკოლება** იმპულსური; **დაბრკოლება** ინდუსტრიული; **დაბრკოლება** მაგნიტური...). გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს მყარი ტერმინოლოგიური გამოთქმები, მაგალითად, **ვარდთა სქემა**, **ზენგალიური ცეცხლი**, **ზატაგის ცრემლები...** [ლამბაშიძე 1987: 32-33] ან ისეთი კომპლექსები, რომელთა კომპონენტების გადანაცვლება არ შეიძლება, მაგალითად, **ახსოლუტურად მყარი**, **ახსოლუტურად თხევადი**, **ნახევრად მონალექი**, **ნახევრად მუდმივი...**, თუმცა უკანასკნელ ხანს დამკვიდრდა შესიტყვებების ბუნებრივი წყობით განლაგება ლექსიკონებში. ტექნიკური ტერმინოლოგიის ქართულ-რუსულ ნაწილშიც ბუდეში გაერთიანებული შესიტყვებების წყობა ბუნებრივია, რაც კარგად ასახავს ქართული ენის ბუნებას – ქართულში მსაზღვრელი, როგორც მართული, ისე ატრიბუტული, წინ უსწრებს საზღვრულს.

ტერმინოლოგიურ ლექსიკონებში მასალა მკაცრადაა გაწყობილი ანბანთრიგზე.

ტერმინთა ამგვარ დალაგებას თავისი გამართლება აქვს. ის კარგად წარმოაჩენს გვარობით-სახეობით ურთიერთობებს და სალექსიკონო ერთეულების ლოგიკურ-სემანტიკურ კავშირებს. ლექსიკონში ტერმინთა სისტემური წარმოდგენისას ყოველ ცნებას თავისი მყარი პოზიცია აქვს მიჩენილი და კარგად ასახავს მათ შორის არსებულ კანონზომიერებებს.

სპეციფიკურია ასევე სინონიმთა განლაგების სისტემა. ისინი წარმოდგენილია ცალ-ცალკე, ანბანთრიგზე, დამოუკიდებელ სალექსიკონო ერთეულად, რომელსაც თან ახლავს ყველა სინონიმური მნიშვნელობის ტერმინი:

თვისება, ხარისხი, ღირსება	качество
ღირსება, თვისება, ხარისხი	качество

ხარისხი, თვისება, ღირსება качество

მნიშვნელობების გასამიჯნავად დარგობრივ ლექსიკონებში განსაკუთრებული დატვირთვა აქვს სასვენ ნიშნებს, ნუმერაციას:

1. მძიმე დაისმის და ერთმანეთისაგან გამოყოფს მნიშვნელობით ძალზე ახლოს მდგომ ან ტოლი მნიშვნელობის ლექსიკურ ერთეულებს (**ავტორხევა, თვითრხევა; ზაქანი, პლატფორმა; ფანტელი-სებრი, ფიფქისებრი**);

2. წერტილ-მძიმე ძირითადად გამოიყენება თარგმნილი შესატყვისი ტერმინების მნიშვნელობით მსგავს, მაგრამ მცირე სემანტიკური განსხვავების მქონე ერთეულებს შორის: **покрытие დაფარვა; გადახურვა; მოგება** (რუსულ-ქართულ ნაწილში), **карагои палатка; шатер** (ქართულ-რუსულ ნაწილში). ამგვარი წერტილ-მძიმით გამოყოფილი ტერმინები ამოსავალი ენის შეცვლისას ერთმანეთს სცილდება და ცალკე სალექსიკონო ერთეულად ფორმდება;

3. ნუმერაციით თარგმნილ ლექსიკურ ერთეულებში ერთმანეთისგან იმიჯნება ძირეულად განსხვავებული მნიშვნელობის ტერმინები: **საფარი 1. покрытие; покров; 2. защита; заслонка.**

ადრეულ წლებში გამოცემული ლექსიკონები ტრადიციულად ორენოვანი (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული) ან სამენოვანი (რუსულ-ქართულ-ლათინური) იყო, თუ რომელიმე დარგში ამას საჭიროება მოითხოვდა (ასეთია, მაგალითად, სამედიცინო, ბოტანიკური ლექსიკონები). თავდაპირველად დგებოდა რუსული სიტყვანი, რომელსაც დაეძებნებოდა ხოლმე ქართული შესატყვისები. ქართულ-რუსული ნაწილისათვის სიტყვანი გადაეწყობოდა უკვე წინასწარ შემუშავებული წესების მიხედვით. უმეტეს შემთხვევაში ითარგმნებოდა რუსული სიტყვანი, ქართული ენისათვის საორიენტაციოდ რუსული სიტყვანი იყო მიჩნეული.

თანამედროვე თარგმნითი ტერმინოლოგიური ლექსიკონებისთვისაც დომინანტი უცხო ენაა, ძირითადად ინგლისური. არცთუ ხშირია ლექსიკონები, რომელთა ამოსავალი ენა ქართულია (გამონაკლისია მეტალურგიის, მასალათა გამძლეობის, აგრარული მრავალენოვანი ლექსიკონები, თუმცა, სასურველია, რომ ამ ლექსიკონის შედგენის პრინციპებიც უკეთ შემუშავდეს). ყურადღების მიღმა რჩება ყოველთვის თარგმნით ლექსიკონებში საკუთრივ ქართული ენისათვის სპეციფიკური ლექსიკოგრაფიული სირთულეები. ლექსიკონების ქართულ ენაზე შედგენის ერთიანი პრინციპი, რომელიც, თუნ-

დაც ერთ საკითხში მაინც, სიცხადეს შეიტანდა, ვერ მოვიძიეთ. ეს საკითხი, შეიძლება ითქვას, რომ დღესაც დაუმუშავებელია.

საკუთრივ ქართული სიტყვანის ცხადად განსაზღვრული ლექსიკოგრაფიული პრინციპების შემუშავების მცდელობა საშუალებას მოგვცემს უფრო ზედმიწევნით შევისწავლოთ ყველა იმ რთულ საკითხთა წყება, რომელიც ზოგადად ყველა ენის ტერმინოლოგიური ლექსიკონების წინაშე დაისმის. ლექსიკონების შემდგენლები ხელმძღვანელობენ მხოლოდ საკუთარი გამოცდილებით, ეს კი სამუშაო ვადებს ძალიან ახანგრძლივებს და დარგობრივი ლექსიკონების ხარისხზედაც აისახება. ქართული სიტყვანისათვის საგანგებო ლექსიკოგრაფიული პრინციპების შემუშავება და სხვა ნებისმიერი ენის მასთან მისადაგება გამოავლენს ყველა იმ სირთულეს, რომლებიც თავს იჩენს ლექსიკონების შედგენისას.

ახალი ტექნიკური ტერმინოლოგიის სარედაქციო სამუშაოებს საფუძვლად დაედო 1982 წელს გამოცემული ქართულ-რუსული ვარიანტი. მუშაობისას ახალი ტერმინების ჩართვამ ძირითად მასალაში ძალიან ბევრი სირთულე წარმოაჩინა. ამათგან ყველაზე პრობლემურია პოლისემიისა და ომონიმის გამიჯვნის საკითხები. რასაკვირველია, ლექსიკონის შემდგენლებს ნაფიქრი ექნებოდათ ამ საკითხებზე, თუმცა ერთიანი პრინციპების გატარება მაინც ვერ მოხერხდა. როგნედა ღამბაშიძე მონოგრაფიაში სწორედ ამ სირთულეებს განიხილავს; ჩანს, რომ იგი ვარაუდობდა ტექნიკური ლექსიკონის ახალი გამოცემის ლექსიკოგრაფიული პრინციპების დახვეწას [ღამბაშიძე 1987: 21-35].

დარგობრივ ლექსიკონთა სპეციფიკა და მათი დანიშნულება მოითხოვს, რომ ტერმინი ერთმნიშვნელობიანი, ანუ მონოსემიური იყოს, გამჭვირვალობასა და სიმოკლესთან ერთად აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის ცალსახა დამოკიდებულება ტერმინის სრულყოფილების განმსაზღვრელია. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ტერმინოლოგიაში ისეთი ლექსიკურ-სემანტიკური მოვლენები, როგორებიცაა: პოლისემია, ომონიმია, სინონიმია და სხვ., სამწუხაროდ, ძალიან ხშირია. ამ საკითხებს, განსაკუთრებით კი ლექსიკონში მათი ასახვის წესებს, გამოწვლილვით შესწავლა და დამუშავება სჭირდება.

საგანგებოდ გვინდა შევეხოთ მრავალმნიშვნელობიან ტერმინებს. ხშირ შემთხვევაში ასეთ სალექსიკონო ერთეულებში ჭირს გარჩევა, რასთან გვაქვს საქმე, ომონიმისთან თუ პოლისემიასთან.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ტერმინოლოგიურ სისტემაში ტერმინთა ფორმოზრივი დამთხვევისას ომონიმებად ითვლება ის ტერმინები, რომლებიც სხვადასხვა ცნებას აღნიშნავს, მათ შორის სემანტიკური კავშირის მიუხედავად. ამასთან, იდენტური ლექსიკური ერთეულების სხვადასხვა ტერმინოლოგიურ ველში გამოყენება თითქოს სირთულეებს არ ქმნის, მაგალითად, **მორფოლოგია** სხვადასხვა ტერმინოლოგიურ სისტემაში – ლინგვისტიკაში, გეოლოგიასა და ანატომიაში – ომონიმებად არის მიჩნეული, რადგან ის სხვადასხვა ტერმინოლოგიურ ველში ფუნქციონირებს [Гринев-Гриневиц 2008: 47]. მაგრამ საკითხი რთულდება მაშინ, როდესაც ერთი და იგივე ლექსიკური ერთეული ერთ ლექსიკონში გაერთიანდება. ასეთ შემთხვევაში როგორ უნდა გაიმიჯნოს – ეს ერთეულები პოლისემიურია თუ ომონიმური.

მრავალდარგოვან ტექნიკურ ლექსიკონში ჩვიდმეტამდე დარგის ლექსიკური ერთეულია გაერთიანებული. ბუნებრივია, ამდენივე დარგის ტერმინოლოგიური ველი იყრის თავს და ტერმინთა ფორმოზრივი დამთხვევაც გარდაუვალია. სამწუხაროდ, ერთიანი გამოკვეთილი სისტემა, რომელსაც უნდა მიჰყვებოდეს მრავალდარგოვანი ტექნიკური ლექსიკონის ქართულ-რუსული ნაწილი, თითქოს არ იკვეთება, მრავალი მნიშვნელობის მქონე ცნებები მთელ ლექსიკონს გასდევს. სანიშნოდ წარმოვადგენთ რამდენიმე ლექსიკურ ერთეულს:

ამოვსება

закладка

არამკვრივი ამოვსება	неплотная закладка
არასრული ამოვსება	неполная закладка
თვითდინებითი ამოვსება	самотечная закладка
მანქანური ამოვსება	машинная закладка

ამოვსება, ავსება, ჩასხმა

заливка

ბაბიტით ამოვსება	заливка баббитом
თუჯით ამოვსება	заливка чугуном
ნაკერების ამოვსება	заливка швов

ამოვსება, ამოშენება, ამოქოლვა,

ჩაკეთება, ჩამაგრება

заделка

ნაროკალის ამოვსება	заделка сучком
ნაკერების ამოვსება	заделка швов
ნახვრეტის ამოვსება	заделка отверстия

ამოვსება, შევსება

მინით ამოვსება

ქვაბულის წყლით ამოვსება

ამოვსება, ჩაყრა, დაყრა

არხის ამოვსება

ამოვსება, ჩახორვა, ჩახერგვა,**ჩაყრა****заполнение**

заполнение стеклянное

заполнение котлована

засыпка

засыпка канала

завалка

გარდა ამისა, თითოეულ ტერმინს რამდენიმე სინონიმი ახლავს. ამრიგად, ვიღებთ სალექსიკონო ერთეულების ერთგვარ ნაკრებს, რომლის საწყისი ტერმინი ერთი და იგივე სალექსიკონო ერთეულია. ვფიქრობთ, უპირველესად, საჭიროა, სინონიმის თავიდან აცილება, თუ ის არ არის იდენტური მნიშვნელობისა.

ამოვსებასთან გაერთიანდება ყველა ტერმინოლოგიური შესიტყვება ერთ ბუდეში, განსხვავებული რუსული ტერმინები კი გამოიყოფა ან წერტილ-მძიმით, რომელიც, არსებული წესების მიხედვით, გამოყოფს ერთმანეთისგან მნიშვნელობით რამდენადმე განსხვავებულ ან სხვადასხვა მეტყველების ნაწილით წარმოდგენილ ერთეულებს, ხოლო, თუ მნიშვნელობა ძალზე განსხვავებულია – ნუმერციით (ლექსიკონთა შედგენის პრინციპების გათვალისწინებით). საბოლოოდ, სალექსიკონო ერთეულს – **ამოვსება** – ამგვარი სახე ექნება:

ამოვსება**1. заделка; закладка; заливка****2. заполнение; засыпка; завалка**

არამკვრივი ამოვსება

არხის ამოვსება

ნარკალის ამოვსება

ქვაბულის წყლით ამოვსება

неплотная закладка

засыпка канала

заделка сучком

заполнение котлована

ზოგადად – ტერმინოლოგიური სისტემისათვის სინონიმია უარყოფით მოვლენადაა მიჩნეული, მიუხედავად ამისა, ამ პროცესის შეჩერება, ვფიქრობთ, მიუღწეველია. სინონიმის წარმოქმნის ბუნებრივი პროცესი სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიურ სისტემებში მეტ-ნაკლებად ნებისმიერი ენისთვისაა დამახასიათებელი, თანაც, ეს ბუნებრივიცაა, განსაკუთრებით იმ დარგებში, რომელთა წარმოშობა და განვითარება ისტორიულ სიღრმეებში უნდა ვეძიოთ. მაგალითად, მეღვინეობასა თუ მეცხოველეობაში ერთსა და იმავე ცნებას რამდენიმე ტერმინი შეესაბამება დიალექტების მიხედვით,

ამასთან, თითოეული მათგანი ძალზე მარჯვეა და კარგად ასახავს ცნების სემანტიკას, ამიტომ სპეციალისტები – როგორც დარგისა, ასევე ტერმინოლოგები, ცდილობენ, შეინარჩუნონ ამგვარი ტერმინები. დროთა განმავლობაში მათ ან მნიშვნელობა უვიწროვდებათ, ან განსხვავებული მნიშვნელობით გამოიყენება ხოლმე სხვა ტერმინოლოგიურ სისტემებში, ამდენად, ასე ხელაღებით სინონიმებზე უარის თქმა, ერთ აღსანიშნავსა და აღმნიშვნელს შორის ცალსახა დამოკიდებულების შენარჩუნება, ძალიან ძნელია. ჩვენი მცდელობაა, მხოლოდ ლექსიკონის პრინციპების შემუშავებისას მაქსიმალურად შევზღუდოთ სინონიმთა მწკრივები ამოსავალ ენაში და, სადაც კი შესაძლებელია, ცალ-ცალკე წარმოვადგინოთ. სავარაუდოდ, ტექნიკური ტერმინოლოგიის ქართულ ნაწილში სინონიმთა ამგვარი სიჭარბე რუსულმა ენამ გამოიწვია. ლექსიკონის თარგმნით ერთეულებში სიზუსტის დასაცავად თითოეული პოლისემიური ერთეული შესაბამისი სინონიმებით ცალ-ცალკეა წარმოდგენილი. ამიტომ სასურველი იქნება, თუ შევამცირებთ მათ რაოდენობას და ცალ-ცალკე გავიტანთ ანბანთრიგზე, რომელსაც მიეწერება შესაბამისი რუსული შესატყვისი (მითუმეტეს, რომ ისინი ტრადიციულად წარმოდგენილია ანბანთრიგზე დამოუკიდებელ სალექსიკონო ერთეულებად).

უფრო ნათელი რომ იყოს ჩვენ მიერ შემუშავებული სავარაუდო პრინციპი, განვიხილავთ კიდევ ერთ ნიმუშს, მაგალითად, ტერმინი **არე** ასეა წარმოდგენილი ლექსიკონში:

არე	область
ბარეტირების არე	область барретирования
განმტკიცების არე	область упрочнения
გაუხშობის არე	область разрежения
გრიგალთა არე	область вихрей
დაბალი წნევის არე	область низкого давления
არე, ზონა	зона
გახურების არე	зона нагрева
დაკოქსვის არე	зона коксования
კრიზისული არე	критическая зона
არე, მინდორი, ველი	поле
ატომის მოქმედების არე	поле действия атома
მაფოკუსებული არე	фокусирующее поле

მხედველობის არე	поле зрения
არე, სფერო	сфера
გაგლეჯის არე	сфера разрыва
გამოყრის არე	сфера выброса
გაფხვიერების არე	сфера разрыхления

აქაც, საფიქრებელია, რომ **არეს** სამ ერთეულად გამოტანა გამოიწვია რუსულმა შესატყვისებმა. ასეთ შემთხვევებსაც გადახედვა სჭირდება, ტერმინები პოლისემიურია თუ არა. კარგი იქნება, თუ ყველა შესიტყვება თავს მოიყრის ერთ ქართულ ტერმინ **არესთან**, ბუნებრივია, ისინი განსხვავებული იქნება რუსული შესატყვისების მიხედვით, საბოლოოდ, ძირითად სალექსიკონო ერთეულს, ვფიქრობთ, ასეთი სტრუქტურა ექნება:

არე	область; зона; поле; сфера
ბარეტირების არე	область барретирования
გაუხშობის არე	область разрежения
გახურების არე	зона нагрева
კრიზისული არე	критическая зона
მაფოკუსებელი არე	фокусирующее поле
გაგლეჯის არე	сфера разрыва

ლექსიკონის შედგენის ამგვარი პრინციპია ნაწილობრივ გატარებული სოფლის მეურნეობის ტერმინოლოგიაში. საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ სალექსიკონო ერთეულებს:

დაშლა	разложение
დაშლა, დამსხვრევა (ქერქისა)	разбивка
დაშლა, დარღვევა	разрушение
დაშლა, ლიზისი	лизис

მოცემულ შემთხვევაშიც უმჯობესი იქნება, თუ ფორმათა ანალიზი ამას დაადასტურებს – სინონიმები ცალკე სალექსიკონო ერთეულებად გაფორმდეს შესაბამისი თარგმანით, ან, თუ მათი დაცილება შეუძლებელი იქნება, ყველა მნიშვნელობა გაერთიანდეს ტერმინთან – **დაშლა**, სინონიმური ერთეულები ნუმერაციით გამოიყოს, ყველა რუსულმა შესატყვისმა კი თავი მოიყაროს **დაშლასთან** სათანადო წესით, როგორც მიღებულია მრავალდარგოვან ლექსიკონებში.

კიდევ ერთი მაგალითი წარმოაჩენს თვალსაჩინოდ ამ ხარვეზს. ტექნიკური ტერმინოლოგიის ქართულ-რუსულ ნაწილში **გემი, ხომალდი (судно, корабль, пороход)** ასეა გაფორმებული:

ხომალდი, გემი**судно**

ხომალდი, გემი, ნავი

корабль

მიზანშეწონილი იქნება, თუ დავტოვებთ მხოლოდ ერთ სალექსიკონო ერთეულს, **ხომალდი, გემი** (თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ხომალდმა ამ უკანასკნელ ხანს მნიშვნელობა გაიფართოვა და თავად იქცა პოლისემიურ ერთეულად, აღნიშნავს: 1. დიდ, უპირატესად, სამხედრო დანიშნულების გემს: **საარტილერიო ხომალდი, სამხედრო ხომალდი**; 2. დიდი სიმძლავრის საფრენ აპარატს: **კოსმოსური ხომალდი, საჰაერო ხომალდი**; 3. დიდ იალქნიან გემს [ქართული ლექსიკონი 2014], ამიტომ სავსებით შესაძლებელია, რომ ისიც ცალკე სალექსიკონო ერთეულად გავიტანოთ, სინონიმის გარეშე, გემი კი ცალკე დავტოვოთ შესაბამისი რუსული თარგმანით – **судно**), მესამე ტერმინი, ვფიქრობთ, აქ ზედმეტი უნდა იყოს. ნავი ცალკე სალექსიკონო ერთეულად გაფორმდება ანბანთრიგზე.

ლექსიკონში არის ისეთი სალექსიკონო ერთეულებიც, რომელთა გაერთიანება არ იქნება მიზანშეწონილი:

ამკრები**подборщик**

დოლიანი ამკრები

барабанный подборщик

ფოცხიანი ამკრები

грабельный подборщик

ამკრები, ამწყობი**наборщик**

ფანერის ამწყობი

наборщик фанеры

ამკრები, ნაკრები**наборный**

პირველ შემთხვევაში იგულისხმება დანადგარი ან ხელსაწყო, ხოლო მეორეში – პროფესია, ხელობა. მათი გაერთიანებით დაირღვევა სალექსიკონო ერთეულის ბუდეში არსებული ლოგიკურ-სემანტიკური კავშირი. ამიტომ, ვფიქრობთ, ასეთ შემთხვევაში ამკრები გავიტანოთ ომონიმად, **ნაკრები** კი გავაფორმოთ ცალკე სალექსიკონო ერთეულად, მესამე წყვილის რუსული ტერმინი პირველ **ამკრებს** მივუწეროთ და გამოვყოთ ძირითადი რუსული ტერმინისაგან წერტილ-მძიმით. საბოლოოდ სალექსიკონო ერთეულები ასე განლაგდება:

ამკრები 1. подборщик; наборный**ამკრები 2. [ამწყობი] наборщик**

თავისთავად ცხადია, რომ ყალიბები თითოეული სალექსიკონო ერთეულისათვის ცალ-ცალკე უნდა შემუშავდეს და ყველა შემთხვევა სათანადოდ გაანალიზდეს.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ეს პრობლემა რუსულ-ქართულ ნაწილში არ ჩანს, იქ პოლისემიური ერთეულები თითქმის არ გვხვდება. ორი ერთნაირი ბგერითი შედგენილობის ტერმინი ცალსახად ომონიმად არის მიჩნეული. ლექსიკონის მთელი სიტყვანი ამ მკაცრად განსაზღვრულ წესს მიჰყვება – იდენტური ტერმინები, თუ ისინი ერთმანეთს მოსდევს, ომონიმებად არის წარმოდგენილი. ქართულ-რუსული ნაწილი კი ამ მხრივ თითქოს დაუმუშავებელია.

ამგვარად, ზემოთ წარმოდგენილი ხარვეზები, რა თქმა უნდა, იმ მცირე პრობლემათაგანია, რომლებიც მრავალდარგოვანი ტერმინოლოგიური ლექსიკონის ახალი რედაქციისას წამოიჭრა. თარგმნითი სპეციალიზებული ლექსიკონების სემანტიკური და სტრუქტურული თავისებურება პოლისემიისა და ომონიმის მიმართ განსაკუთრებულ მიდგომას მოითხოვს. ეს პრობლემები არც სხვა ენების ტერმინოლოგიური ლექსიკონებისათვისაა უცხო. ვფიქრობთ, ლექსიკონების შედგენისას ეს საკითხი კიდევ უფრო ზედმიწევნით არის შესასწავლი უზუსტობების თავიდან ასაცილებლად.

ლიტერატურა

მუზაშვილი 2015 – ნ. მუზაშვილი, სინონიმის საკითხისათვის ტექნიკურ ტერმინოლოგიაში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, XV, თბილისი.

სოფლის მეურნეობის ტერმინოლოგია, თბილისი, 1959.

ტექნიკური ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული), თბილისი, 1977.

ტექნიკური ტერმინოლოგია (ქართულ - რუსული), თბილისი, 1982.

ქართული ლექსიკონი 2014 – გ. ცოცანიძე, ნ. ლოლაძე, ქ. დათუკიშვილი, ქართული ლექსიკონი, თბილისი.

ღამბაშიძე 1987 – რ. ღამბაშიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები, თბილისი.

Гринев-Гриневиц 2008 – С. В. Гринев-Гриневиц, Введение в Терминографию, Как просто и легко составить словарь, Москва.

Nino Dateshidze

Polysemy and Homonymy in Bilingual Terminological Dictionaries

Summary

The paper deals with the difficulties related to the editorial work of the Georgian-Russian part of the technical terminology, in particular, the cases of confusing polysemy and homonymy.

The multi-field dictionary unites lexical units of about seventeen fields and consequently the coincidences of the forms of terms are inevitable. In most cases, these polysemous and homonymous lexical units are represented with several synonyms. Thus, we have such a set of lexical units that are united by one and the same basic term. In the translated dictionary entries each polysemous term with corresponding synonyms is represented separately.

It is desirable to reduce the number of synonyms and combine polysemous terms in one dictionary entry that will be represented with all the relevant Russian and English equivalents, to unite terminological syntagms in one set, to separate different Russian terms by a semicolon or by the numeration if the meanings are very different.

The semantic and structural features of specialized dictionaries require special approaches in terms of polysemy and homonymy. These problems are common for the terminological dictionaries of other languages as well. The issue needs to be studied thoroughly to prevent defects in composing dictionaries.